დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს აიბი - მთიები

შეფასების თარიღ(ებ)ი - 2022 წლის 04 და 05 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 2022 წლის 26 ივლისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	აიბი - მთიები
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202166921

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანტონოვსკაიას, 9
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ქუთაისის ქუჩა № 20
საფოსტო ინდექსი	0119
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.ibmthiebi.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@ibmthiebi.edu.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	322 306406; 595 310930
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ჩიკვაიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 519004
ელ-ფოსტა	chikvaidze.nino.ibmthiebi@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 9 22 0000609717 08/06/2022 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს აიბი-მთიებში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 04 და 05 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	მარიამ ხუციშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☒
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	მუხლი 7 / პუნქტი გ)	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.4.*	• სკოლაში V-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ესგ-ის მუხლი 32. პუნქტი 5. ,,I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		• სკოლაში მე-6 კლასის ბოლოს ტარდება წლიური გამოცდები ყველა საგანში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ესგ. მუხლი 36. 10. ,, წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე“ . 11. ,,თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება“.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი	*2.2.*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	*ხარვეზი არ გამოვლენილა*
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.2.*	დაწესებულებას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლის შესაბამისად, 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლას სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება აქვს აღებული ე.წ. ,,საბიუჯეტო კლასებში“ სწავლა-სწავლების პროცესი განახორციელოს მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, თუმცა სკოლას აღნიშნული მოსწავლეები გადანაწილებული ყავს სკოლის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო მომსახურების გადამხდელი მოსწავლეების კლასებში.

დაწესებულების მისია	სკოლა აიბი - მთიების მისიაა ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სეგმენტის-მოზარდი თაობის ინტელექტუალური, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური განვითარება. სკოლა-პანსიონის სასწავლო, სასწავლო-სააღმზრდელო და მატერიალური რესურსი მოზარდს აძლევს შესაძლებლობებს ლიბერალურ სოციალურ გარემოში, სწავლისა და განვითარების თანაბარ პირობებში მიიღოს ეროვნული სასწავლო გეგმითა და თანამედროვე დასავლური საგანმანათლებლო მოდელებით გათვალისწინებული განათლება. სკოლა-პანსიონის მისია ემსახურება მოზარდ თაობაში შემდეგი თვისებების ჩამოყალიბებას: ● მოსწავლის სწავლის უნარ-ჩვევების - გაიაზროს თუ როგორ და რატომ ისწავლოს; ● კრიტიკული აზროვნების - ცოდნა პრობლემების გადასაწყვეტად; ● გარემოსა და სივრცის აღქმის, საკუთარი მოქალაქეობრივი მისიის გააზრების; ● სოციალური განათლების - პასუხისმგებლობა საკუთარი და სხვისი ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობისათვის; ● მიზანდასახულობასა და პროფესიული შესაძლებლობების იმპლემენტაციას სწრაფად ცვალებად რეალობაში; ● სოციალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური რეალობების აღქმას პრინციპით: საქართველო ჩემი სახლია და მე ვზრუნავ მასზე; ● მორალურ და ფიზიკურ განვითარებას; ● ინტერკულტურული ცნობიერების;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დემოკრატიული და ჰუმანური ფასეულობების; • კომუნიკაციის; • მიზანდასახულობას; • ღირსებას; • პიროვნულ დამოუკიდებლობას; • მოსწავლეთა და თანამშრომელთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის რეგულაციების მაქსიმალური დაცვა. განათლება წარმატებას აღწევს, როცა მშობელი და სკოლის თანამშრომლები ყველა მოსწავლეზე თანაბრად ზრუნავენ, ამიტომ სკოლა-პანსიონის მისიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია კვალიფიციური პედაგოგებისა და აღმზრდელების შერჩევა. მათთვის ისეთი სამუშაო პირობების შექმნა, სადაც ისინი თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების რეალიზებას ახდენენ კეთილგანწყობილ და მატერიალურ-ტექნიკურად აღჭურვილ გარემოში: თანამშრომლობენ სასწავლო-სააღმზრდელო საკითხებში ერთმანეთთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან. სკოლა–პანსიონი აიბი- მთიების მისიას წარმოადგენს როგორც ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე სკოლა–პანსიონ აიბი მთიებში თანამშრომელთა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის. სკოლა პანსიონი აიბი მთიები მუდმივად ზრუნავს ინციდენტების, რისკებისა და შეუსაბამობების მინიმუმამდე დაყვანაზე და მუშაობს მუდმივი გაუმჯობესების პრინციპით. სკოლა ეფექტურად ახორციელებს კორექციულ-პრევენციულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ დროულად იქნას აღმოფხვრილი სხვადასხვა ტიპის ინციდენტები როგორც ხარისხის მართვის, ასევე შრომის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში. აიბი მთიები ხელს უწყობს ისეთი პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს სკოლაში არსებულ რისკებს: წაქცევა/ფეხის წამოკვრა, ვირუსული დაავადებების გავრცელება, ტრანსპორტით სარგებლობის უსაფრთხოება. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**სკოლამ 2019 წელს მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში მიიღო რეკომენდაცია:** 1. ,,განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიიღოს ნებართვა განსხვავებული შეფასების სისტემისა და განსხვავებული სსგ-ის განხორციელების მიზნით“. **ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში 2022 წელს :** სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვა შეფასების შვიდქულიანი სისტემის განხორციელების შესახებ, რაც შეეხება დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალების კომპონენტში განმსაზღვრელ შეფასებასა და დაწყებითი საფეხურის ბოლოს ყველა საგანში ჩატარებულ გამოცდებს კვლავ შეუსაბამობაა ესგ-მოთხოვნებთან და საჭიროებს ან მოდიფიცირებას ან შესაბამისი ნებართვის მოპოვებას.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **<u>1500</u>**	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აიბი-მთიების 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. ამავე დროს შპს აიბი-მთიების სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს სკოლის მიერ ექსკლუზიურად შექმნილ და მოსწავლეთათვის შეთავაზებულ ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც ხელს უწყობს სკოლის მისიისა და მიზნების განხორციელებას, ასევე განსაზღვრავს სკოლის იდენტობას. შპს აიბი-მთიების 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს 3 ნაწილს: • 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებითი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმას, • 2021-2022 სასწავლო წლის საბაზო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმას, • 2021-2022 სასწავლო წლის საშუალო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმას. შპს აიბი- მთიების დაწყებითი სკოლის პროგრამა შექმნილია 6-11 წლის ასაკის მოსწავლეთათვის, რომელიც განაპირობებს მოზარდის ადრეულ ასაკში სულიერი სამყაროს შექმნას, ცოდნის შეძენას და გამოყენებას, სასწავლო უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფიქრის განვითარებას რაც გაუადვილებს აღსაზრდელს გარე სამყაროში ადაპტირებას. აიბი მთიები დაწყებითი სკოლის კონცეფცია ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის ძირითად პრინციპებს და მიზნად ისახავს საკუთარ ტრადიციებზე დაფუძნებული საერთაშორისო ცნობიერების მქონე მომავალი თაობის ჩამოყალიბებას. აიბი მითების დაწყებითი სკოლის პროგრამის პროგრამულ მიზანს წარმოადგენს: • მისცეს მოსწავლეებს ფაქტობრივი ცოდნა ორი პროგრამული მიმართულებით: ელემენტარული განათლება და დაწყებითი განათლება; • განუვითაროს საგნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება; • დაარწმუნოს მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებში; • განუვითაროს წერისა და კითხვის უნარები საგნობრივი დისციპლინის მიხედვით; • დაანახოს მიმდინარე პროცესები და შეძლოს მისი გაცნობიერება ასაკის შესაბამისად; • გააცნოს საგნობრივი დისციპლინის მიერ შესასწავლი უნარები; • დააგროვოს ფაქტობრივი ცოდნა; • განუვითაროს აკადემიური პროექტის საშუალებით ინფორმაციის მიღებისა და გადმოცემის უნარი. შპს სკოლა-პანსიონი "აიბი მთიების" საბაზო სკოლა სწავლების შუალედური რგოლია და მოზარდის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს. საბაზო სკოლის სასწავლო პროგრამა VII-IX კლასებისთვისაა შექმნილი. სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა და მატერიალური რესურსი 12-15 წლის ასაკის მოზარდს აძლევს შესაძლებლობებს მიიღოს თანამედროვე, დასავლური საგანმანათლებლო მოდელებით გათვალისწინებული განათლება და ამზადებს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა პროფესიული განათლების მიღება ან სკოლის უმაღლეს საფეხურზე სწავლის წარმატებით გაგრძელება. საბაზო სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საგანთა ინტენსიური სწავლების მისია _ საბაზო სკოლა მიზნად ისახავს მისცეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეს თანამედროვე სწავლების მოდელებით გათვალისწინებული აკადემიურად სრულყოფილი განათლება, რომელიც სკოლის უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემდეგ იქნება მყარი ბაზისი აკადემიური წარმატებისა ან არასრული განათლების ატესტატის აღების შემთხვევაში სწორი პროფორიენტაციისა. საგანთა ინტენსიური სწავლების პროგრამა ხელს უწყობს მოზარდს, შეძლოს კრიტიკულად შეაფასოს მოვლენა მისი გარეგნული აღწერიდან სიღრმისეულ წვდომამდე. ასევე მნიშვნელოვანია განავითაროს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. საგანთა ინტენსიური სწავლება გულისხმობს, მიმართულების შესაბამისი ცენტრალური აკადემიური დისციპლინების სიღრმისეულ შესწავლას, მათი მომიჯნავე საგნების შესწავლის ხელშეწყობით. სწავლებისადმი ამგვარი მიდგომები თავის მხრივ განსხვავებული რანგის აზროვნებასა და მოტივაციას მოითხოვს. ამიტომ საბაზო საფეხურზე სკოლა ინტერესების, შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით მოსწავლეს სთავაზობს სასწავლო პროგრამებს ორი განსხვავებული მიმართულებით: ტექნიკურ საგანთა ინტენსიური სწავლების პროგრამას და საზოგადოებრივ ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტენსიური სწავლების პროგრამას. საგანთა ინტენსიური სწავლების პროგრამები 3 საფეხურიანია და ორიენტირებულია სკოლის უმაღლეს საფეხურზე მიმდინარე პროფილურ სასწავლო პროგრამებზე. I საფეხური - VII კლასი - მოსამზადებელი ეტაპი მოსწავლე იწყებს საგანთა ინტენსიურ რეჟიმში სწავლას საფეხურის დასრულების შემდეგ ,სურვილის შემთხვევაში ,მოსწავლეს აქვს მიმართულების შეცვლის საშუალება; II საფეხური-VIII კლასი - ფუნდამენტურ საგანთა სიღრმისეული შესწავლის პროცესი; III საფეხური - IX კლასი - მოსწავლე ემზადება სკოლის უმაღლეს საფეხურზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აიბი მთიების უმაღლესი სკოლა X-XI-XII კლასებს მოიცავს. აიბი მთიები ამ საფეხურზე 15-18 წლის მოსწავლეებს სთავაზობს პროფილური განათლების პროგრამებს სამი სკოლის სახით - საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ჰუმანიტარული. სკოლა როგორც საშუალო განათლების უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო ინსტიტუცია, მოსწავლეებს უმაღლესი სასწავლებლებისთვის ამზადებს, აძლევს პროფესიული განათლების საფუძველს და აქვს ისეთი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება მიიღოს საფუძვლიანი განათლება, იმოქმედოს და იპოვოს საკუთარი თავი, მიაღწიოს წარმატებას. აიბი მთიების პროფილური განათლება, აკადემიური განათლების გარდა ხელს უწყობს მოსწავლის სოციალურ, ეთიკურ, ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას, ეხმარება მას გააკეთოს სწორი კარიერული არჩევანი და საკუთარი შესაძლებლობები მართლზომიერად გამოიყენოს. პროფილური განათლების ქრონოლოგიური ტაქსონომია სამხრიანია: I კურსი X კლასი- ფუნდამენტი, II კურსი XI კლასი-კარკასი, პრე-აბიტური, III კურსი XII კლასი - ნაგებობა, აბიტური. უმაღლეს სკოლაში წარმოდგენილია 2 პროფილური აკადემიური დეპარტამენტი: ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლა; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლის პროფილური სწავლების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მომზადებას ტექნიკური მიმართულების მეცნიერების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში, დაეხმაროს რაც შეიძლება მეტი გაიგოს არჩეულ პროფესიაზე. ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის პროფილური სწავლების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მომზადებას საზოგადოებრივ–ჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში, დაეხმაროს რაც შეიძლება მეტი გაიგოს არჩეულ პროფესიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორივე მიმართულებით საგნობრივი პროგრამების აგებისა და მენეჯმენტის სპეციფიკა მსგავსია. დეპარტამენტების ძირითადი სხვაობა საგნობრივ პროგრამებსა და შინაარსშია. აიბი მთიების მიერ წარმოდგენილია თითოეული საგნობრივი პროგრამის სწავლების კონცეფცია, ძირითადი ორიენტირები. ასევე თითოეული სკოლის საათობრივი ბადე კლასების მიხედვით და გაკვეთილების ცხრილი. წარმოდგენილია კათედრის მიზნები და ფუნქციები. საგნობრივი კათედრის მიზანია: სასწავლო პროცესის რაციონალური დაგეგმვა და ეფექტურად წარმართვა, მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა. კათედრას ხელმძღვანელობს - კათედრის ხელმძღვანელი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კათედრა ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: ა) სახელმძღვანელოების ეფექტურად შერჩევა; ბ) შეფასების სისტემის კრიტერიუმების შემუშავება; გ) პედაგოგთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების (სილაბუსების) შემუშავება; დ) პედაგოგთა პროფესიული განვითარება; ე) პედაგოგთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება; ვ) კათედრის პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება; ზ) ცალკეულ საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა; თ) სხვა ცალკეული საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება. კათედრა აერთიანებს შესაბამისი საგნის ყველა პედაგოგს. სკოლაში შექმნილია მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენების (ინგლისური), მეორე უცხო ენის (გერმანული/რუსული), სპორტის, ხელოვნების კათედრები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ასევე დისტანციური სწავლების წესი და რეგულაციები. დისტანციური გაკვეთილები ორი ტიპისაა_

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტრადიციული დისტანციური გაკვეთილი და დისტანციური სამეცადინო საათი. დისტანციური გაკვეთილი 40 წუთიანია. გაწერილია გაკვეთილის ზოგადი ჩარჩო. თითოეულ კლასთან დამრიგებლის ნაცვლად მუშაობს აღმზრდელ-პედაგოგი. მისი ფუნქცია-მოვალეობებია: • განახორციელოს სააღმზრდელო კონცეფცია კლასზე მორგებით; • მოამზადოს და წარადგინოს სასწავლო - სააღმზრდელო სილაბუსი, როგორც ონლაინ (საჭიროებისამებრ), ასევე პირისპირ სწავლების რეჟიმისთვის; • იზრუნოს მოსწავლის ეთიკურ და მორალურ განვითარებაზე; • ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის მიღწევები ეთიკური ნორმების შეფასების ჟურნალში; • ყოველთვიურად წარადგინოს ეთიკური ნორმების შედეგები მოსწავლეებთან; • იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე მთელი დღის განმავლობაში; • მართოს კლასის დღის რეჟიმის ყველა პროცედურა როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ რეჟიმში; • მიიღოს მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ რეჟიმში; • მიიღოს ინსტრუქტაჟი მასწავლებლისგან საშინაო დავალების შესრულების შესახებ; • ანგარიშვალდებულია მასწავლებლის წინაშე მოსწავლის მიერ საშინაო დავალების შესრულების ხარისხით; • წარმართოს მოსწავლეთა დილის საკონსულტაციო საათი; • დროულად აცნობოს სკოლის და სასწავლო-სააღმზრდელო სამსახურის ხელმძღვანელს კლასში არსებული პრობლემების შესახებ; • ყოველკვირეულად მოამზადოს კვირის სამუშაო გეგმა; • აწარმოოს ISO-ს სტანდარტის მიხედვით დადგენილი საქმიანობის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წერილობით მიაწოდოს ყოველდღიური ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენასთან დაკავშირებით სასწავლო-სააღმზრდელო ხელმძღვანელს; • მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მშობელს სკოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით; • ხელი შეუწყოს ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას, როგორც მოსწავლეებთან ასევე კოლეგებთან ურთიერთობისას; • ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ყოველდღიური კვების პროცესის ორგანიზებას და ჩატარებას; • ითანამშრომლოს მუდმივად კლასის მშობელთა საბჭოსთან; • მონაწილეობა მიიღოს სკოლის შიდა და გარე ღონისძიებების ორგანიზებაში სკოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით; • დაიცვას დრეს კოდი; • იზრუნოს საკლასო ოთახისა და სამუშაო არეალის, ინვენტარისა და ტექნიკის გამართულობასა და სისუფთავეზე; • უზრუნველყოს კლასის გამართული ინფრასტრუქტურის ჩაბარება სკოლის ადმინისტრატორისათვის წლის ბოლოს; • მოითხოვოს პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული სწავლება; • მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რაც ხელს შეუწყობს კლასის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების ხარისხიან წარმართვას; • დაიცვას ორგანიზაციის ინტერესები; • დროულად დააფიქსიროს სამუშაო არეალში რისკები და აცნობოს შესაბამის პირს; • იზრუნოს ინციდენტების მინიმუმამდე დაყვანაზე. ინციდენტის მოხდენის შემთხვევაში, დროულად მიიღოს მონაწილეობა ინციდენტის მართვაში შესაბამის პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ერთად; • მიიღოს მონაწილეობა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მარეგულირებელი სამსახურის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა წვრთნა-სწავლებაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაიცვას კოვიდ-19 რეკომენდაციები, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და გაწერილია აიბი-მთიების მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოში „უსაფრთხო სკოლა“; • დაიცვას სკოლის შინაგანაწესი. • განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ვრცელი და მრავალკომპონენტიანი დოკუმენტების ერთობლიობაა. თუ ის ერთიან ფორმატს მიიღებს შესაბამისი სანავიგაციო სისტემით, ბევრად უფრო მკაფიოდ აღქმადი იქნება მისი მნიშვნელოვანი დეტალები და თავისებურებანი. შპს აიბი მთიების სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს აიბი მთიების მისია; • დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა; • შპს აიბი მთიების საბაზო სკოლის სასწავლო გეგმა; • შპს აიბი მთიების უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმა; • შპს აიბი მთიების დებულება; • შპს აიბი მთიების დისტანციური გაკვეთილის მოდელი; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აიბი მთიებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სკოლა მოიცავს დაწყებით, საბაზო და უმაღლეს სკოლებს. თითოეული სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამებს, არჩევანის თავისუფლებას. განვიხილოთ თითოეული სკოლა. დაწყებით სკოლა სამი საფეხურისგან შედგება: ელემენტარული განათლება - I-II კლასები(ფუნდამენტი), დაწყებითი განათლება - III-IV კლასები(კარკასი), ტრანზიტული განათლება V-VI კლასები(გამჭოლი ნაგებობა). აიბი მთიების დაწყებითი სკოლის ზოგადი განათლების პროგრამა მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: • სასწავლო პროგრამა; • სააღმზრდელო პროგრამა; • ხელოვნების საგნობრივი დისციპლინების ინტეგრირებული პროგრამა. აღნიშნული მიმართულებები არ მიმდინარეობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, კერძოდ: • სასწავლო პროგრამები უზრუნველყოფს სასწავლო საგნობრივი დისციპლინების შესწავლასა და საგნობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე; • სააღმზრდელო პროგრამა უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო უნარების განვითარებას; ფასეულობითი განათლების მიღებას და პიროვნების ჩამოყალიბებას. • ხოლო ხელოვნების საგანთა ინტეგრირებული პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლის შემოქმედებით განვითარებაზე და ასევე ქმნის აიბი მთიების სასკოლო ცხოვრებას საინტერესოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	I-II კლასის მოსწავლე: • ცოდნის ანბანი _ სწავლობს სხვადსხვა საგნობრივი დისციპლინების ენას /კითხვა –წერა/ შემოქმედებითი აქტივობებით: ხატავს, ძერწავს, მღერის, ასახიერებს; • ივითარებს სასწავლო უნარებს; • იქმნის პოზიტიურ დამოკიდებულებას საგნობრივი დისციპლინების მიმართ. განხორციელების ინსტრუმენტებია: სასწავლო პროგრამა სააღმზრდელო პროგრამა, ხელოვნების ინტეგრირებული კურსი, აკადემიური პროექტი „ყულაბა“. III-IV კლასის მოსწავლე: • აგროვებს ფაქტობრივ ცოდნას, სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინების საშუალებით • ივითარებს საგნობრივ უნარებს განხორციელების ინსტრუმენტებია: საგაკვეთილო საათი (პროექტი „საგნობრივი სახელოსნო“, სამოტივაციო ღონისძიებები), სააღმზრდელო საათი, (სააღმზრდელო პროექტი). აკადემიური პროექტი "საგნობრივი სახელოსნო" ორიენტირებულია პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის გადატანა შეძლოს ხელნაკეთ რესურსში (მაკეტი; კედლის გაზეთი; ილუსტრაცია; და სხვა). საგნობრივი თემის შესწავლას ემსახურება: • საგაკვეთილო პროცესი, • სამეცადინო საათი (საგაკვეთილო პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის მიმდინარეობის დრო ხორციელდება დასწავლა, აქ მოსწავლე ივითარებს უნარებს, თუ როგორ უნდა ისწავლოს დამოუკიდებლად, რაც დაწყებითი სკოლის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სააღმზრდელო საათი- ელემენტარულ სკოლაში (მოსამზადებელი; I კლასი) სააღმზრდელო საათზე ხორციელდება საგნობრივი კათედრების მიერ შექმნილი გეგმის განხორციელება 5 აქტივობის საშუალებით. II კლასებში სააღმზრდელო საათი წარმოდგენილია 3 აქტივობით, ხოლო III-IV კლასებში სააღმზრდელო საათს ეთმობა კვირაში 1 სთ სასწავლო რეჟიმისა და სწავლების ფორმატიდან გამომდინარე. • გასვლითი ღონისძიება-დაწყებით სკოლაში გასვლითი ღონისძიებები ემსახურება პროგრამული მასალის შეჯამებას. დაწყებით სკოლაში სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება პროექტი „ყულაბა“ (ელემენტარული სკოლა) და პროექტი „საგნობრივი სახელოსნო“ (დაწყებითი განათლება). დაწყებითი სკოლის ზოგადი განათლების სასწავლო პროგრამის საგნობრივი დისციპლინებში აღწერილია ყველა საგნობრივი პროგრამის სწავლების მიზნები და პრინციპები. დაწყებით საფეხურზე ისწავლება საგანი – მეცნიერების საწყისები, რომელიც მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით აერთიანებს ცოდნას გეოგრაფიის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა სფეროებიდან. სკოლის დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ თავად ისინი და საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფები ან წევრები საქართველოს მოქალაქენი არიან და რომ მათ საერთო გარემო, წარსული, აწმყო და პერსპექტივა აერთიანებთ. ამ მიზნით I-IV კლასებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საქართველოს ისტორიას კვირაში 1 საათიანი დატვირთვით. შპს სკოლა აიბი მთიები I-IV კლასებს სთავაზობს ასევე ჭადრაკს კვირაში 1 საათიანი დატვირთვით. აღნიშნული დისციპლინის მიზანს წარმოადგენს განუვითაროს მოსწავლეს ლოგიკური აზროვნება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასწავლოს ფიქრი, გაანალიზებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, განუვითაროს მეხსიერება და ბრძოლისუნარიანობა. საბოლოოდ, **დაწყებითი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში** წარმოდგენილია საათობრივი ბადე, სადაც საგნობრივ პროგრამებზე საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია მოცემული სახით: • **ქართული ენა და ლიტერატურა** - შემცირებულია ქართულის საათები პირველ-მეორე კლასებში 6 საათამდე, III-IV კლასში 5 საათამდე და ასე გრძელდება V-VI კლასებში. • **პირველი უცხო ენა** შემოდის პირველი კლასიდან კვირაში 3 საათიანი დატვირთვით, II-IV კლასებში კვირაში 5 სთ, V-VI კლასებში 4 სთ; • **მეორე უცხოური ენა** (გერმანული) I-III კლასებში კვირაში 1 საათით; IV კლასიდან მეორე უცხოური ენა არჩევით შემოდის (გერმანული/რუსული) და VI კლასის ჩათვლით წარმოდგენილია კვირაში 2 საათიანი დატვირთვით; • პირველი კლასიდან ისწავლება **საქართველოს ისტორია** I-IV კლასებში კვირაში 1 სთ; • **მე და საზოგადოება** - III-IV კლასებში კვირაში 1სთ; • **ბუნებისმეტყველება** - I-II კლასებში კვირაში 1 სთ, III-კლასებში კვირაში 2 სთ, ხოლო V-VI კლასებში 3 საათიანი დატვირთვით. • **ისტ ტექნოლოგიები** I-კლასებში კვირაში 1 სთ, ხოლო V-VI კლასებში 2 სთ; • **ხელოვნება** I-III კლასებში 2 საათიანი, ხოლო IV-VI კლასებში 1 საათიანი დატვირთვით; • **მუსიკა** I-IV კლასებში კვირაში 2 სთ, ხოლო V-VI კლასებში 1 სთ; • **სპორტი** I-VI კლასებში კვირაში 2-2 საათიანი დატვირთვით; • პირველი კლასიდან ისწავლება **ჭადრაკი** მეოთხე კლასის ჩათვლით კვირაში 1 საათიანი დატვირთვით. დაწყებითი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, რომ სასწავლო პროგრამები დაყოფილია 4 ბლოკად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	I-II კლასებში • პირველი ბლოკი მოიცავს ძირითადი სწავლების საგნებს - მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ინგლისურ ენას, გერმანულ ენას, მეცნიერებათა საწყისებს, საქართველოს ისტორიას. • მეორე ბლოკი მოიცავს ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საგნებს- ხელოვნებას, მუსიკას, სპორტს, ჭადრაკს, ტექნოლოგიებს. • მესამე ბლოკი მოიცავს - საპანსიონო აქტივობებს - სამეცადინო საათს, აკადემიურ პროექტს „ყულაბას“. • მეოთხე ბლოკი მოიცავს სააღმზრდელო პროგრამას - სააღმზრდელო თემატური გაკვეთილის სახით. III-IV კლასებში • პირველი ბლოკი მოიცავს ძირითადი სწავლების საგნებს - მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ინგლისურ ენას, გერმანულ ენას, მეცნიერებათა საწყისებს, საქართველოს ისტორიას, მე და საზოგადოებას. • მეორე ბლოკი მოიცავს ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საგნებს- ხელოვნებას, მუსიკას, სპორტს, ჭადრაკს, ტექნოლოგიებს. • მესამე ბლოკი მოიცავს - საპანსიონო აქტივობებს - სამეცადინო საათს, აკადემიურ პროექტს „სახელოსნოს“. • მეოთხე ბლოკი მოიცავს სააღმზრდელო პროგრამას - სააღმზრდელო თემატური გაკვეთილის სახით. V-VI კლასებში • პირველი ბლოკი მოიცავს ძირითადი სწავლების საგნებს - მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ინგლისურ ენას, გერმანულ/რუსულ ენას, მეცნიერებათა საწყისებს, ჩვენ სამშობლოს, IT. • მეორე ბლოკი მოიცავს ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საგნებს- ხელოვნებას, მუსიკას, ფიზიკურ აღზრდას. • მესამე ბლოკი მოიცავს - საპანსიონო აქტივობებს - სამეცადინო საათს, აკადემიურ პროექტს „კრეატივი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მეოთხე ბლოკი მოიცავს სააღმზრდელო პროგრამას - სააღმზრდელო თემატური გაკვეთილის სახით. შპს აიბი მთიების 2021-2022 სასწავლო წლის საბაზო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ტექნიკურ საგანთა ინტენსიური სწავლების პროგრამის კლასებში საათობრივი ბადე შემდეგი სახისაა: • ქართული ენა და ლიტერატურა - შემცირებულია ქართულის საათები VII -IX კლასში 4 საათამდე. • მათემატიკის გარდა VII -IX კლასში ისწავლება ალგორითმიკა კვირაში 2 საათიანი დატვირთვით. • პირველი უცხო ენა (ინგლისური) კვირაში 3 საათიანი დატვირთვით. • საკომუნიკაციო ინგლისური კვირაში 2 საათიანი დატვირთვით, • მეორე უცხოური ენა(გერმანული/რუსული) კვირაში 2 სთ. • საზოგადოებრივი მეცნიერებები ისტორია, გეოგრაფია კვირაში 2 სთ, სამოქალაქო განა. კვირაში 1 სთ. • საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბიოლოგია, ფიზიკა კვირაში 2-2 სთ, ქიმია VIII კლასიდან კვირაში 2-2 სთ. • ესთეტიკური აღზრდის პროგრამები - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-ხაზვა VII კლასში 2 სთ, ხოლო VIII-IX კლასებში კვირაში 1სთ; მუსიკა VII-IX კლასებში კვირაში 1 სთ. • სპორტი კვირაში 1 სთ. ჰუმ. კლასებში საათობრივი ბადე შემდეგი სახისაა: • ქართული ენა და ლიტერატურა - კვირაში 5 სთ, • მსოფლიო ლიტერატურა - კვირაში 2 სთ, • მათემატიკა - კვირაში 4 სთ ხოლო სხვა ყველა საგნობრივი პროგრამის საათობრივი დატვირთვა ტექ. სკოლის ანალოგიურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტექნიკურ საგანთა ინტენსიური სწავლების გეგმა საბაზო საფეხურის VII-VIII კლასებში ითვალისწინებს სწავლების 2 ბლოკს. პირველი ბლოკი მოიცავს ინტენსიური სწავლებს საგნებს - ალგებრას (3სთ), გეომეტრიას (2სთ), ალგორითმიკას (2სთ), ფიზიკას, ხატვა-არქიტექტურას (2სთ), ინგლისურ ენას, საკომუნიკაციო ინგლისურს. მეორე ბლოკში წარმოდგენილია ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული/გერმანული, ბიოლოგია, ისტორია, სამოქ. განათლება, გეოგრაფია, პროექტი ლაბორატორია, სააღმზრდელო საათი, ღია საათები, სპორტი, მუსიკა და დამატებით 10 სამეცადინო საათს. ტექნიკურ საგანთა ინტენსიური სწავლების გეგმა საბაზო საფეხურის IX კლასებში კვლავ წარმოდგენილია სწავლების 2 ბლოკად. პირველი ბლოკი მოიცავს ინტენსიური სწავლებს საგნებს - ალგებრას (3სთ), გეომეტრიას (2სთ), ალგორითმიკას (2 სთ), ხელოვნება-პროექტს, ფიზიკას, ქიმიას, ინგლისურ ენას, ბიზნეს ინგლისურს. მეორე ბლოკში წარმოდგენილია ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული/გერმანული, ბიოლოგია, ისტორია, სამოქ. განათლება, გეოგრაფია, სპორტი, მუსიკა, პროექტი ლაბორატორია, სააღმზრდელო საათი, ღია საათები და დამატებით 10 სამეცადინო საათს. საბაზო საფეხურის VII-VIII კლასებში საზოგადოებრივ ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტენსიური სწავლების პროგრამის გეგმის პირველი ბლოკი მოიცავს - ქართულ ლიტერატურას (3 სთ), ქართულ გრამატიკას (2სთ), მსოფლიო ლიტერატურას (2 სთ), ხელოვნების ისტორიას (2სთ), ინგლისურ ენას, საკომუნიკაციო ინგლისურს, გერმანულ/რუსულ ენას, ისტორიას, სამოქ. განათლებას. მეორე ბლოკში წარმოდგენილია მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია, სპორტი, მუსიკა, პროექტი ლაბორატორია, სააღმზრდელო საათი, ღია საათები და დამატებით 10 სამეცადინო საათი. საბაზო საფეხურის IX კლასებში სასწავლო გეგმა კვლავ წარმოდგენილია სწავლების 2 ბლოკად და ძირითადად მიჰყვება VII-VIII კლასების ბლოკს, თუმცა პირველ ბლოკში საკომუნიკაციო ინგლისური ჩანაცვლებულია ინგლისური ლიტერატურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს აიბი მთიების 2021-2022 სასწავლო წლის საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია საგნობრივი პროგრამები: მე-10 კლასებში შემოდის პრე-კალკუსი კვირაში 1 სთ, ბიზნეს ინგლისური 2 სთ, ეკონომიკა 1 სთ, საპანსიონო აქტივობები - საკონსულტაციო საათები, პროექტი ვირტუსი, სააღმზრდელო უნარი დასწავლა- სამეცადინო საათი „ბუმერანგი“ ერთ მე-10 კლასში სავალდებულო ენები - ქართ ლიტ, ქართ ენა, მსოფლიო ლიტერატურა, ინგლისური ენა, ინგლის. ლიტერატურა, ალტერნატიული უცხოური ენა- გერმანული/რუსული საზ. მეცნიერებები -ისტორია, გეოგრაფია, ხელ. ისტორია, სამოქ. განათლება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა, სპორტი მე-11 კლასში - კალკულუსი, ტექ. ინგლისური, ეკონომიკა/სამართლის შესავალი(არჩევითი), მე-12 კლასთან ფსიქოლოგია, უნივერსიტეტის საათი. წარმოდგენილი საათობრივი ბადეების მიხედვით, დაწყებით, საბაზო და უმაღლესი სკოლის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი, თუმცა განსხვავებული დატვირთვით. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით „კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს საფეხურის რომელიმე კლასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იმგვარად, რომ სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში.“ გარდა ამისა, ამავე ბრძანების 56-ე მუხლის მიხედვით „მოდელი III – საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.“ დაწესებულებას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის აღნიშნული მუხლების შესაბამისად, 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ამსახველი დოკუმენტაცია, თემატური გეგმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების დეტალურად დაგეგმილი პაკეტები. მოცემულ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა მიმართავს კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ, კვლევით პროცესებს, რათა სიღრმისეულად მოხდეს თითოეული მოსწავლის თავისებურების განსაზღვრა და მისთვის საჭირო ხელშემწყობი გარემოს ფორმირება. გარდა დოკუმენტაციის შესწავლისა, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა; • შპს აიბი მთიების საბაზო სკოლის სასწავლო გეგმა; • შპს აიბი მთიების უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმა; • დაწყებითი, საბაზო და უმაღლესი სკოლის თემატური გეგმები; • კომპლექსური დავალებები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აიბი მთიების დაწყებით, საბაზო და უმაღლესი სკოლის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. მაგალითად, დაწყებით სკოლაში სასწავლო და სააღმზრდელო პროცესები მიმდინარებს სინქრონულად, რომლებიც მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისაგან არ არის; ელემენტარული სკოლის სასწავლო და სააღმზრდელო პროგრამების შექმნაში მონაწილეობას იღებს და პროცესს აკვირდება ფსიქოლოგის სამსახური. დაწყებით სკოლაში ასაკისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე სასწავლო პროგრამა მთავარ აქცენტს აკეთებს შემეცნებითი უნარების, ხოლო სააღმზრდელო პროგრამა ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარებას; მაგალითად: წვრილი მოტორიკის გასავითარებლად მოსწავლეს პედაგოგი ასწავლის წერას, პარალელურად აღმზრდელ პედაგოგი ასწავლის თასმის შეკვრას; სკოლამ წარმოადგინა მიმართულებებად დეტალურად გაწერილი 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო-სააღმზრდელო სამსახურის მუშაობის პოლიტიკები. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის განხორციელება გრძელდება ოჯახში, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშს მშობელი, ის ხელს უწყობს სასწავლო-სააღმზრდელო უნარ-ჩვევების პრაქტიკულ გამოვლინებას. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად, საბაზო და უმაღლეს სკოლაში მოსწავლესთან შეთანხმებით განისაზღვრება, თუ რომელ პროფილურ მიმართულებას აირჩევს ის. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების დებულება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლის მიერ მოცემული დებულებით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე გაწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის პერიოდში სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხებოდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს აიბი მთიების სასწავლო-სააღმზრდელო სტანდარტები კლასების მიხედვით; • დაწყებითი, საბაზო და უმაღლესი სკოლის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • კომპლექსური დავალებები; • სასწავლო პროექტები; • შპს აიბი მთიების ინკლუზიური განათლების დებულება; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აიბი მთიებში მოსწავლის შეფასების სისტემის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. სკოლაში შეფასება ორი მიმართულებით ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს და გამოხატულია ქულით. განმსაზღვრელი შეფასება სამი კომპონენტისაგან შედგება: • შემაჯამებელი დავალება; • საშინაო დავალება - წერითი და შემოქმედებითი დავალებები; • საკლასო დავალება. სკოლის სსგ-ის შესაბამისად , შემაჯამებელი დავალების დროს მოსწავლე აფიქსირებს ცოდნას სარეიტინგო გამოკითხვის საშუალებით, რომელიც სკოლაში წარიმართება ყოველი თვის განმავლობაში და მათი სიხშირე დამოკიდებულია საგნის კვირეულ საათობრივ დატვირთვაზე (ტესტი, ქვიზი, ზეპირი, წერითი დავალება, პროექტი-პრეზენტაცია, თხზულება, რეფერატი, ლაბორატორიული კვლევა). 4-6 სთ კვირეული დატვირთვის საგნებში გამოკითხვა წარმოებს თვეში ორჯერ; 2-3 სთ კვირეული დატვირთვის საგნებში თვეში ერთხელ. 1 სთ კვირეული დატვირთვის საგნებში თვეში ერთხელ – ქვიზი. **<u>საშინაო დავალება გულისხმობს პედაგოგის მიერ, საშინაო წერითი დავალებების ხარისხის განსაზღვრას. წერითი დავალების შეფასება ხდება განმსაზღვრელი ქულით, მათ შორის მე-5, მე-6 კლასებშიც.</u>** სამუშაო რვეულების რეგულარული შემოწმება - შეფასება ამ კომპონენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. შემოქმედებითი აქტივობა გულისხმობს მოსწავლის კრეატიულობის, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, საკითხის ინტერპრეტირებისა და პრობლემის გადაჭრის საინტერესო გზების ძიების უნარების განსაზღვრას. მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც პროექტებით; მინი პრეზენტაციებით, ასევე გრძელვადიანი შემოქმედებითი დავალებებით; მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობის შეფასება ხდება განმსაზღვრელი ქულით. თვის შეფასება (განმსაზღვრელი) დგინდება 4 კომპონენტის საფუძველზე: • შემაჯამებელი დავალება - 50%; • წერითი დავალება - 10%; • მიმდინარე (განმავითარებელი) გამოკითხვა - 10%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შემოქმედებითი აქტივობა - 30% პირველ სემესტრში მოსწავლე ფასდება სექტემბერ-ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, შუალედური და ფინალური გამოკითხვების ქულების საფუძველზე. სემესტრული ნიშანი გამომდინარეობს თვეების რეიტინგული ქულების ჯამისგან (საშუალო არითმეტიკული) და/ან შემაჯამებელი გამოცდების შედეგებიდან შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით: • სემესტრული რეიტინგული ქულა - 50% • შემაჯამებელი გამოკითხვის (შუალედური და/ან ფინალური გამოკითხვა) ქულა - 50% იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვის განმავლობაში გამოტოვებს განრიგით დადგენილ, სარეიტინგო გამოკითხვას რამდენიმე საგანში, მას ეძლევა უფლება აღადგინოს სარეიტინგო გამოკითხვა **არაუმეტეს ორი საგნისა** წინასწარი გაცხადებისა და სკოლის ხელმძღვანელის რეზოლუციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის გაცდენა კონკრეტულ საგანში სემესტრის განმავლობაში შეადგენს 25% ან მეტს, ის განცხადებისა და სკოლის ხელმძღვანელის რეზოლუციის საფუძველზე აბარებს ამ კონკრეტულ საგანში სემესტრის ფინალურ გამოცდას, რომლის ნიშანიც წარმოადგენს სემესტრის ნიშანს. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის სემესტრული ნიშანი არის არადამაკმაყოფილებელი (3 ქულა ან ნაკლები), ის განცხადებისა და სკოლის ხელმძღვანელის რეზოლუციის საფუძველზე, ამ კონკრეტულ საგანში აბარებს სემესტრის ფინალურ გამოცდას, რომლის ნიშანიც წარმოადგენს სემესტრის ნიშანს. მეორე სემესტრში მოსწავლე ფასდება იანვარ–თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისისა და შუალედური ქულების საფუძველზე. სემესტრული ნიშანი გამომდინარეობს თვეების რეიტინგული ქულების ჯამისგან (საშუალო არითმეტიკული), შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგებიდან <u>(მათ შორის მე-6 კლასის ბოლოს)</u> შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით: • სემესტრული რეიტინგული ქულა - 50% • შემაჯამებელი გამოცდის ქულა - 50%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლიური ნიშანი წარმოადგენს პირველი და მეორე სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. სასწავლო წლის ბოლოს ტარდება ფინალური გამოცდები, მათ შორის მე-6 კლასის ბოლოს ტარდება წლიური გამოცდები ყველა საგანში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ესგ. მუხლი 36. ,, წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე“ .... ,,თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება“. აღნიშნულ გამოცდებზე მიღებული ქულა აისახება მოსწავლის საბოლოო შეფასებაში. თუ მოსწავლის გაცდენა კონკრეტულ საგანში სემესტრის განმავლობაში შეადგენს 25% ან მეტს, მისი საბოლოო ნიშანი წარმოადგენს საგამოცდო ნიშანს. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საბოლოო ქულა არის არადამაკმაყოფილებელი (3–ზე ნაკლები) ერთ ან ორ საგანში, მოსწავლე ვალდებულია ჩააბაროს საშემოდგომო გამოცდა, რომლის შეფასებაც არის მოსწავლის საბოლოო ქულა. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საბოლოო ქულა არის არადამაკმაყოფილებელი (3–ზე ნაკლები)2–ზე მეტ საგანში, მოსწავლე თავიდან გაივლის იგივე კლასის სასწავლო პროგრამას. კლასის სასწავლო პროგრამა დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის თითოეული საგნის საბოლოო ქულა არის 3.5 ან მეტი რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. თუ მოსწავლემ ერთ სემესტრში გააცდინა საგნისთვის დათმობილი საათების 25%-ზე მეტი, შეფასება მოხდება გამოცდის საფუძველზე. შპს აიბი მთიებს აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული განსხვავებული განმსაზღვრელი შეფასების სისტემა და ის 7 დონეს (ქულას) მოიცავს. ცხრილში წარმოდგენილია სკოლის შეფასების ათქულიან სისტემაზე სკალირება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ათქულიან სისტემაზე სკალირება:

ქულები		შეფასების დონეები
7	10	უმაღლესი
6	9	მაღალი
5	8	საშუალოზე მაღალი
4	7	საშუალო
3	6	საშუალოზე დაბალი
2	5	დაბალი
1	4;3;2;1	

სკოლას წარმოდგენილი აქვს საბოლოო ქულის დამრგვალების წესიც. მოცემული შეფასების სისტემა მოქმედებს დაწყებითი სკოლის V-VI კლასებში, საბაზო და უმაღლეს სკოლებში. ხოლო დაწყებით სკოლის I-IV კლასებში იყენებენ მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას.

გასათვალისწინებელია, რომ განმსაზღვრელია შეფასება დაწყებითი სკოლის V კლასის მეორე სემესტრში და VI კლასის მანძილზე სამივე კომპონენტში, მათ შორის საშინაო დავალებაში. სკოლამ განმარტა, რომ ეს მათი სასკოლო შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დეტალია, რათა უკეთ გაზომონ მოსწავლეთა საჭიროებები. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ესგ-ის მუხლი 32. პუნქტი 5. „I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება“.

სამივე სკოლის კათედრების დოკუმენტებში წარმოდგენილია თითოეული საგნობრივი პროგრამის შეფასების პრინციპები, მიზნები, ფორმები, მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების კონკრეტული, საგნობრივი ფორმები. წარმოდგენილია დისკუსიის, ექსპერიმენტის, პრეზენტაციის, ლაბორატორიული სამუშაოს, ჯგუფური სამუშაოს, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რუბრიკები და ფორმები. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები დაკვირვება, უკუკავშირი, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, კონცეპტუალური რუკები, სწრაფი წერითი სამუშაო, ხელის ნიშნები, შუქნიშნები, შეკითხვების დასმა და სხვა. სკოლაში შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რეიტინგული წერები და გამოცდები რუტინულ პროცესშია გადაყვანილი. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, წლიურ გამოცდებს აბარებენ ყველა საგნობრივ პროგრამაში, თუმცა ეს მათთვის არაა სტრესული და ერთგვარი განმავითარებელი შეფასების მექანიზმიცაა, რადგანაც ამ დროს მობილიზებაში მოჰყავთ წლის მანძილზე მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები. სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილია თითოეული მასწავლებლის შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების საფუძველზე სკოლა ყოველთვიურად აკეთებს SWOT ანალიზს და შედეგების საფუძველზე შედის ცვლილებები სასწავლო პროცესებში და სწავლების მეთოდოლოგიაში. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებენ სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირებს კომენტარების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ელექტრონული ჟურნალები კლსების მიხედვით, რისთვისაც იყენებენ GOOGLE DRIVE პლატფორმას და GOOGLE FORMS დოკუმენტში მუშაობის შესაძლებლობებს. სკოლაში დანერგილია შეფასებების საკლასო ოთახებში ყოველთვიური გამოქვეყნების პრაქტიკა და მშობლებისთვის ინფორმაციის ინტერნეტით ან სკოლის ხელმძღვანელის მიერ მიწოდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს აიბი მთიების შეფასების სისტემის კონვერტაციაზე თანხმობა- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წერილი -2019 წლის 22 მარტი; • შპს აიბი მთიების შეფასების სისტემა; • კათედრებზე წარმოდგენილი შეფასების მეთოდოლოგია და რუბრიკები; • კათედრების პორტფოლიო; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • შეფასების SWOT ანალიზის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს აიბი მთიებსა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება აიბი მთიების დებულებითა და ხელშეკრულებით. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფუნქციონირებს მშობელთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს სკოლის დირექტორის საკონსულტაციო, სათათბირო ორგანოს. მშობელთა საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს. იგი წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა მშობლების ინტერესებს დირექტორთან ურთიერთობებში. საბჭოს თავმჯდომარე მონაცვლეობით აირჩევა მშობელთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი მშობლებისგან, არა უმეტეს მათი უფლებამოსილების ვადისა. მშობელთა საბჭოს შემადგენლობა და არჩევის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული. მშობელთა საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც ამ სხდომაზე ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს. მშობელთა საბჭო იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ. მშობელთა საბჭოს სხდომას საბჭოს მიწვევით შესაძლებელია დაესწროს სკოლის დირექტორი ან/და სკოლის ხელმძღვანელი. მშობელთა საბჭო: ა) წარუდგენს სკოლის დირექტორს შენიშვნებსა და წინადადებებს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ბ) უფლებამოსილია მოისმინოს სკოლის დირექტორის მიერ მომზადებულ წლიური ანგარიში სკოლის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის შესახებ; გ) უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, მოსწავლეთათვის გათვალისწინებული შეღავათების და სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებში შემავალი სხვა საკითხების თაობაზე; დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის, თაობაზე; ე) ინახავს და აღრიცხავს სხდომის ოქმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვ) უფლებამოსილია მოსთხოვოს სკოლის დირექტორს ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სკოლის დებულების მე-18 მუხლი არეგულირებს მშობელთა უფლებებს: მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სკოლის სხვა სამართლებრივი აქტებით. მშობელი უფლებამოსილია: ა) მუდმივი კავშირი ჰქონდეს სკოლასთან და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლის ყოფაქცევისა, აკადემიური მოსწრების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ; ბ) პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში; გ) მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა; დ) მოითხოვოს და მიიღოს სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა. მშობელი ვალდებულია: • უზრუნველყოს მოსწავლის დროული გამოცხადება სკოლაში და არ დაუშვას მოსწავლის სკოლაში გამოცხადება სკოლის მიერ დადგენილი ფორმის გარეშე, ასევე უზრუნველყოს მოსწავლის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. • მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. • დაუშვებელია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომელიც არსებითად მათი გაუქმების ტოლფასია. ნებისმიერი შეზღუდვა ან რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ადგილის, დროის და ფორმის ისეთ ნეიტრალურ შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე და ტოვებს ალტერნატიული გზებით მათი განხორციელების ეფექტიან შესაძლებლობას. • მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. სკოლაში აღმზრდელ-პედაგოგის ვალდებულებაა • მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მშობელს სკოლის ხელმძღვანელთან შეთანხმებით; • ითანამშრომლოს მუდმივად კლასის მშობელთა საბჭოსთან; სკოლა მშობელს ყოველი კვირის ბოლოს აწვდის დეტალურ უკუკავშირს შვილის პროგრესის შესახებ. სკოლის ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში 2022-2023 სასწავლო წლისთვის განსაზღვრულია მშობელთა კომიტეტის შექმნა, რომელიც უხელმძღვანელებს სკოლის განვითარებას, ასევე, შეიმუშავებს ინიციატივების, რეკომენდაციების, შენიშვნების სისტემას სკოლის მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად. მშობლებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. ისინი აქტიურად სარგებლობენ სკოლის ვებგვერდით, სკოლის გვერდით სოციალურ ქსელში (Facebook) და სწრაფად იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს აიბი მთიების დებულება; • შპს აიბი - მთიების პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • მშობლებთან გასაუბრება ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო და სასწავლო–სააღმზრდელო გეგმის განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ხორციელდება ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სტანდარტის მიხედვით. გეგმის განხორციელების შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დაგეგმილი გარე და შიდა მონიტორინგებით. შიდა მონიტორინგი ითვალისწინებს აკადემიურ პროცესებზე დაკვირვებას კათედრის ხელმძღვანელების, ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერის და სკოლების ხელმძღვანელების მიერ. გარე მონიტორინგი ითვალისწინებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ სისტემურ მონიტორინგს, რომელსაც ახორციელებს გარე მოწვეული ექსპერტი. მონიტორინგების შედეგები იძლევა შეფასებისა და ანალიზის საშუალებას. შესაბამისად, ფორმდება დასკვნები და რეკომენდაციები, რის საფუძველზეც ზუსტად განისაზღვრება ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო პრიორიტეტული საკითხები. სკოლაში არსებობს შეუსაბამობისა და ინციდენტების მართვის ფორმები, რომელიც ემსახურება სასკოლო ცხოვრებაში არსებული შეუსაბამობების დაფიქსირებას – პრევენციული და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუდმივ გაუმჯობესებას ემსახურება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• აკადემიური საბჭოს ოქმები; • სასწავლო–სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვების ფორმა; • გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა; • პერსონალის ერთიანი შეფასების ფორმა; • ინციდენტების მართვის ფორმა; • სასწავლო და სასწავლო–სააღმზრდელო ტრენინგები; • გარე აუდიტის - Intertek - ჩატარებული აუდიტის ყოველწლიური ანგარიში; • English Book Education მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიში; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	სკოლამ უნდა შეიტანოს ცვლილება სსგ-ით განსაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის ნაწილში, კერძოდ: დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალების კომპონენტში განმსაზღვრელი შეფასება და დაწყებითი საფეხურის ბოლოს ყველა საგანში ჩატარებული გამოცდები წინააღმდეგობაში მოდის ესგ-ის მოთხოვნებთან. ან მოიპოვოს ნებართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, აღნიშნული შეფასების სისტემის გამოყენებისთვის.
რჩევები:	
ხარვეზები:	• <u>სკოლაში I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. აღნიშნული ეწინააღმდეგება ესგ-ის მუხლი 32. პუნქტი 5. „I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლაში მე-6 კლასის ბოლოს ტარდება წლიური გამოცდები ყველა საგანში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ესგ. მუხლი 36. 10. „ წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე“ . 11. „თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება“.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 5117.00 კვ.მ. მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი, საკუთრებაში არსებული 2 (ორი) სასწავლო კორპუსი, რომლებიც მდებარეობს ქ. თბილისში, ქუთაისის ქ. №20. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა შპს აიბი-მთიები, მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 5117.00 კვ.მ. ხოლო, პირველი და მეორე სასწავლო კორპუსების საერთო ფართია - 3,764 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირველი კორპუსში მიმდინარეობს დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესი. სკოლამ 2017 წელს დაასრულა ახალი კორპუსის მშენებლობა. აღნიშნულ სასწავლო კორპუსში მიმდინარეობს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესი. აღნიშნული კორპუსი უზრუნველყოფილია ლიფტით და კეთილმოწყობილია თანამედროვე მატერიალური რესურსით.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ქუთაისის ქ.20
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.13.05.013.015
კვ.მ.	5117.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.13.05.013.015) • შენობის ნახაზები; • მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები, შესყიდვის დოკუმენტაცია, ბუღალტრული ჩანაწერები. • 2022 წლის 2 მაისს შპს აიბი - მთიებსა და შპს ხარისხის საკონსულტაციო ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, ქ. თბილისში, ქუთაისის ქ. №20-ში მდებარე ორ სასწავლო კორპუსში გააჩნია საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. შენობას გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, არქივი, ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, დირექტორის ოფისი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაციული ოთახები, შესაბამისად, ოთახების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. პირველ კორპუსში საერთო ჯამში არის 48 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე კორპუსში 14 ოთახი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 1282 მოსწავლე, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, სასკოლო დაფებით, პროექტორებითა და პერსონალური კომპიუტერებით, საკლასო კარადებით, ტანსაცმლის საკიდებით და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერება; • მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები; • შესყიდვის დოკუმენტაცია, ბუღალტრული ჩანაწერები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სკოლას პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე აქვს დახურული სპორტული დარბაზი, 17.5მ X 7.7მ – 134.75კვ.მ; ხოლო, სკოლის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი 30მX15მ - 450 კვ.მ. სკოლას გააჩნია შესაბამისი სპორტული ინვენტარი. ვიზიტის პერიოდში ადაპტირდა სსსმ მოსწავლისთვის სპორტულ დარბაზში გადასაადგილებელი სივრცეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი; • ინვენტარის ფლობის/შესყიდვის/ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. ლაბორატორიები აღჭურვილია მერხებით, დაფით, კომპიუტერით, პროექტორით, ციფრული მიკროსკოპებით, შესაბამისი ლაბორატორიული კარადით, გამწოვით, სველი წერტილით, საჭირო თვალსაჩინოებით, საჭირო ქიმიკატებით, რომლებიც ინახება რკინის კარადაში შენახვის წესების და ვადების გათვალისწინებით. ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, აალებადი მასალები (რეაქტივები და სხვა) შენახულია სათანადო კარადაში და კარადაზე მითითებულია სათანადო აღნიშვნა, შემუშავებულია უსაფრთხოების წესები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. <u>ვიზიტის პერიოდში ადაპტირდა სსსმ მოსწავლისთვის ლაბორატორიაში შესასვლელი სივრცე.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • რესურსის ფლობის/შესყიდვის/ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა აღრიცხულია თელმიკოს, თბილისი ენერჯის, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის აბონენტად. ყველა საკლასო ოთახს გააჩნია ფანჯარა, რაც იძლევა ბუნებრივი განათების საშუალებას. სკოლის გათბობის საქვაბის სისტემები მდებარეობს ცალკე შენობაში. სკოლას გააჩნია 24 სველი წერტილი, სადაც განთავსებულია 9 უნიტაზი, 38 თურქული ტიპის უნიტაზი, 46 ონკანი, სპეციალური საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მქონე პირთათვის ადაპტირებული 4 საპირფარეშო. ასევე, ეზოში განთავსებულია სასმელი წყლის წყარო. უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლის მიწოდება. სკოლას გააჩნია წყლის რეზერვუარები, საერთო მოცულობით 3,000 ლიტრი. სკოლასა და შპს „სანეპიდსერვის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „სანეპიდსერვისი“ უზრუნველყოფს სადერატიზაციო, სადენსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას ყოველთვიურად ჯანდაცვის სამინისტროს მოქმედი დებულების და ინსტრუქციის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გადახდის ქვითრები; • ხელშეკრულებები; • ვიზუალური დათვალიერება; • სკოლასა და შპს „სანეპიდსერვის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა არის შპს აიბი-მთიების სტრუქტურული ერთეული, რომელშიც განთავსებულია დაწესებულების სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა. ბიბლიოთეკა მდებარეობს სკოლის ეზოში, სასწავლო კორპუსებისგან დამოუკიდებელ შენობაში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, წიგნადი ფონდით, კომპიუტერებით და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს, მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონით, დაწესებულების დებულებით, დირექტორის ბრძანებებით, ბიბლიოთეკის დებულებით, შინაგანაწესით და დაწესებულებაში მოქმედი სხვა ნორმების შესაბამისად. <u>ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკის დებულებაში შევიდა ცვლილება და სახელმძღვანელოებით სარგებლობის და გატანის ვადები დაზუსტდა.</u> ბიბლიოთეკაში არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული და ბეჭდური კატალოგი; ბიბლიოთეკაში მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ინახება გრიფირებული და საგნობრივ პროგრამებში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოების მინიმუმ 1 ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის; წიგნები დამოწმებული და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; ბიბლიოთეკას გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელშიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალის დახმარება. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოს ლიტერატურის მოძიებას, დედნებიდან ასლების გაკეთებასა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიწოდებას, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში კი მათ ბეჭდვას. ბიბლიოთეკაში არსებული ფონდი მრავალფეროვანი და განახლებადია, ბიბლიოთეკაში ირიცხება: 1. ელექტრონული ბიბლიოთეკა შესაბამისი კატალოგით. 2. პერიოდული პრესიდან გამოწერილი გაზეთი „ახალი განათლება". 3. ბიბლიოთეკა შესაბამისი ანბანურ-თემატური კატალოგით ერთეული რაოდენობის მიხედვით მოიცავს 5693 (ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდაცამეტი) წიგნს და ნაწილდება შემდეგ კატეგორიებად: ➢ მეთოდური ლიტერატურა - 104; ➢ სასკოლო სახელმძღვანელო - 1660; ➢ საცნობარო ლიტერატურა - 257;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ ძირითადი ფონდი - 3672; ➢ რუკა და სხვა თვალსაჩინოება - 214; ➢ CD – 174; ➢ ციფრული წიგნი - 10; ➢ პერსონალური კომპიუტერი - 21. ➢ პროექტორი - 1. ➢ პრინტერი - 1; ➢ ასლგადამღები მანქანა - 2.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საბიბლიოთეკო ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები; • კატალოგი; • შპს აიბი - მთიების ბიბლიოთეკის დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა სკოლის პირველი სასწავლო კორპუსის შენობის და ბიბლიოთეკის შესასვლელში მოწყობილია პანდუსები. (სტაციონალური და მოძრავი). სკოლის მე-2 სასწავლო კორპუსის შენობას გააჩნია ლიფტი. ასევე, შენობებში მოწყობილია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძები. სსსმ მოსწავლეებისთვის ორივე შენობა ადაპტირებულია, პირს შესაძლებლობა აქვს წვდომა ჰქონდეს შემდეგ რესურსზე: ბიბლიოთეკა, სასწავლო აუდიტორია, ადმინისტრაციული პერსონალი და ა.შ. ვიზიტის პერიოდში ადაპტირდა სსსმ მოსწავლისთვის სპორტულ დარბაზში და ლაბორატორიაში შესასვლელი სივრცეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. 53ც. (DualCore E6700 3,2GHz; 4GB RAM); 20ც. (Core I3-8130 2,2GHz; 4GB RAM); 12ც. (Core I3-550 3,2GHz; 2GB RAM); 19ც. (Core I3-5005 2,2GHz; 4GB RAM); ლეპტოპი 15ც. (DualCore E2200 2,2GHz; 2GB RAM); 6ც. (AMD LE-1300 2,3GHz; 2GB RAM); 2ც. (Core I3-7100 3,9GHz; 4GB RAM 6ც. (intel celeron 3060 1,6GHz; 4GB RAM) ლეპტოპი სულ 133 პერსონალური კომპიუტერი. 6ც. კომბინირებული ლაზერული პრინტერი; 1ც. კომბინირებული ჭავლური პრინტერი; 4ც. ლაზერული პრინტერი; 3ც. ქსეროქსის აპარატი; 6ც. LCD ტელევიზორი; 26ც. პროექტორი; 2ც. მუსიკალური ცენტრი; 1ც. სინთეზატორი; 2ც. ხმის გამაძლიერებელი აპარატურა (დინამიკი და მიქსერი); 1ც. სმარტ ტელევიზორი; სკოლის ვებ - გვერდი http://ibmthiebi.edu.ge/ ___ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ-გვერდი არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორენოვანი (ქართული და ინგლისურ ენაზე). სკოლის ვებ- გვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) სკოლის მმართველი რგოლის და კათედრების შესახებ; ბ) სკოლის საქმიანობის და სტრუქტურის შესახებ; გ) სკოლის პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ; დ) მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების და კურუკულუმს მიღმა აქტივობების შესახებ; ე) სკოლის დღის რეჟიმი; ვ) ინფორმაცია დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ; ზ) ინფრასტრუქტურის შესახებ; თ) ინფორმაცია სკოლის შესაბამისი საფეხურების მიხედვით; ი) სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის ბუღალტრული დოკუმენტები; • სკოლის ვებ - გვერდი: http://ibmthiebi.edu.ge/ ; • ვებ-გვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • კომპიუტერები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა თანამშრომლობს კომპანია ალგანთან, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოების ნორმების დაცვას საერთაშორისო სტანდარტის ISO 45001:2018 მიხედვით. სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება დაცულია ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საერთაშორისო სტანდარტის Occupational Health and Safety Organization ISO 45001: 2018 მიხედვით. შრომის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი არეგულირებს სკოლის უსაფრთხოებას, სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობას, მოსწავლეთა კვების ხარისხს, ექიმისა და ფსიქოლოგის მუშაობას. სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია „შპს აიბი მთიებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, რომლითაც რეგულირდება: ა) სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი წესები; ბ) სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზაციული ღონისძიებები; გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის ტერიტორიისათვის; დ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის შენობისა და სათავსოებისათვის; ე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელებისათვის; ვ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის ელექტრო დანადგარებისათვის; ზ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის გათბობისა და ვენტილაციის სისტემებისათვის; თ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყაროებისა და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის; ი) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ლაბორატორიების სათავსოებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები წვადი და ადვილაალებადი სითხეების ტარით შენახვისას; ლ) ხანძრის შემთხვევაში სკოლის თანამშრომლების მოქმედების წესი; მ) ხანძარსაწინააღმდეგო რეაგირება და ა.შ. სკოლაში შექმნილია ტექნიკური ჯგუფი, რომელიც მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან ატარებს შესაბამის ტრენინგებს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ. ტრეინინგის ჩატარება ითვალისწინებს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს და თანამშრომელებს: ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სათავსების, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილი მოთხოვნები და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვა; ბ) შენობის, სათავსების, მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებები; გ) ხანძრის დროს თანამშრომელთა/მოსწავლეთა ვალდებულებები და მოქმედებები, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესები, ხანძრის ჩაქრობის საშუალებები და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნები. სკოლას გააჩნია 32 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც განთავსებულია კიბის უჯრედებსა და დერეფნებში; სკოლა უზრუნველყოფილია სახანძრო ავტომატიკითა და სირენით; სკოლის სხვენი დამუშავებულია ანტისეპტიკური ხსნარით. სკოლაში არსებული 32 ცალი ცეცხლმაქრი ექვემდებარება ყოველთვიურ შემოწმებას ISO 45001:2018 –ის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. აიბი - მთიებში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების სამმართველოსთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სკოლაში ჩატარდა ტრენინგი „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვისა საერთაშორისო სტანდარტის, Occupational Health and Safety Organization ISO 45001:2018 -ის სერთიფიკატი; • შპს აიბი - მთიების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა. სკოლის ყველა სართულზე ასევე გამოკრულია ტექნიკური ჯგუფის წევრთა ტელეფონის ნომრები. ტექნიკური ჯგუფის წევრები პასუხისმგებელნი არიან სკოლაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ნორმების დაცვაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ევაკუაციის გეგმა; • ადგილზე დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებულია აქვს „შპს აიბი - მთიებში წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების“ დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და პროცედურა. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხიმგებელია ექიმი, რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ა) საჭიროების შემთხვევაში, სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ან/და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება; ბ) სამედიცინო საქმიანობის წარმართვა პაციენტის ინტერესების შესაბამისად; გ) სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დ) სკოლაში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების კონტროლი; ე) სკოლის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე ზრუნვა. ვ) სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების სტილის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ზრუნვა; მიმდინარეობს პაციენტების ყოველდღიური მიღების ჟურნალის/ჟურნალების წარმოება, ასევე წარმოებს მედიკამენტების შემოტანის ჟურნალი, კეთდება აღწერა მედიკამენტების ვადებზე და ხორციელდება ვადაგასული მედიკამენტების ჩამოწერა. სკოლის პერსონალს ჩატარებული აქვს პირველადი დახმარების ტრენინგი. სკოლში არის 10 სააფთიაქო კარადა. სკოლას ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხელშეკრულება აქვს ეპიდემიოლოგთან, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პრაქტიკულ დაგეგმარებას ეპიდემიოლოგიური კუთხით, დოკუმენტაციისა და პროტოკოლების დანერგვა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული რეგულაციების დანერგვა და მისი ყოველთვიური კონტროლი. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში განახორციელა ექიმის კაბინეტის ცვლილება, ექიმის კაბინეტი გადაიტანა შესაბამისი ფართის მქონე ოთახში სკოლის პირველ სართულზე, ასევე შიდა კონკურსის საფუძველზე დაასაქმა მეორე ექიმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს აიბი - მთიებში წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების“ დოკუმენტი; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • შპს აიბი მთიებსა და ეპიდემიოლოგს შორის 2020 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება №11; • შესყიდვის ბუღალტრული დოკუმენტები; • ადგილზე დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნული წესის მიზანია: ა) მოსწავლეთა უფლებების დაცვა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს ან სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; ე) სკოლის სტრუქტურული ერთეულების/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა ვალდებულია: ა) განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები; ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება სკოლაში მიმდინარეობს ორი მიმართულებით: შიდა შეფასება და გარე შეფასება. ა) შიდა შეფასებას ახორციელებენ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, სააღმზრდელო სამსახურის ხელმძღვანელი, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, კოორდინატორები, ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი. შეფასება ხდება როგორც წერილობით -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტური, ასევე ელექტრონული ფორმით. შეფასება მიმდინარეობს როგორც წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების (ე.წ ჩექ-ლისტი) მიხედვით, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა ანონიმური გამოკითხვით. ბ) გარე შეფასება თავის მხრივ მოიცავს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტის გარე აუდიტს, რომელიც ხორციელდება ყოველწლიურად საერთაშორისო IRCA აკრედიტირებული ორგანიზაცია Intertek-ის მიერ აუდიტის შედეგები მიეწოდება სკოლას აუდიტის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი 1 კვირის ვადაში ელექტრონული ფორმით. აუდიტის ანგარიში მოიცავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს, რეკომენდაციებსა და შეუსაბამობებს. რეკომენდაციების შესრულებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, თითოეულ რეკომენდაციას და შეუსაბამობას ენიშნება პასუხისმგებელი პირი და ვადები. მიმდინარეობს მონიტორინგი აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე დადგენილ ვადებში. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, პირველ და მეორე სემესტრში. შეფასება ხდება სასწავლო წლის დასრულებამდე. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ კლასის აღმზრდელ - პედაგოგები, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს სკოლების ხელმძღვანელები და ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი. კითხვარის ანალიზს აწარმოებს ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც იწერება პასუხისმგებელ პირებზე და შემდგომ მიმდინარეობს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. 6. შეფასების კითხვარის საფუძველზე სკოლების ხელმძღვანელებისა და ხარისხის განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსის მიერ იწარმოება ანგარიში და SWOT ანალიზი სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ, რომელიც ეცნობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. საჭიროებისამებრ გაიცემა რეკომენდაციები და ისახება ამ რეკომენდაციების შესრულების გზები და ვადები. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და წესები“, ორგანიზაციის პოლიტიკა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით, დამყარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებზე და სრულად შეესაბამება მას. ორგანიზაცია მკაცრად იცავს პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას და კონფიდენციალობას და ასევე , კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების პროცესს, ასევე, მონაცემების დაცვის პროცედურებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ალგანთან გაფორმებული კონტრაქტი; • „შპს აიბი - მთიებში წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების“ დოკუმენტი; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 2 - აპრილის წერილი MES 2 21 0000319858 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებული წესის შეთანხმების თაობაზე; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და წესები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლაში წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლის შენობა - ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერების შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. სკოლის ტერიტორიისა და შენობის შესასვლელებში დამონტაჟებულია 8 სამეთვალყურეო კამერა. სკოლის ეზოში დამონტაჟებულია 12 სამეთვალყურეო კამერა; სკოლის შენობებში დამონტაჟებულია: შენობა #1,#2 - 21 სამეთვალყურეო კამერა; შენობა #4 - 2 სამეთვალყურეო კამერა; შენობა #5 - 21 სამეთვალყურეო კამერა; ბიბლიოთეკა - 2 სამეთვალყურეო კამერა; სულ 66 სამეთვალყურეო კამერა. სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ვიდეო კონტროლის მანიშნებელი. ვიზიტის პერიოდში კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოხდა სათვალთვალო კამერის დემონტაჟი და კიბის უჯრედებში, რომელიც არ იყო ხილვადი დამონტაჟდა სამეთვალყურეო კამერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • უსაფრთხოების კამერების შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. სკოლის წესდების თანახმად განისაზღვრება სკოლის დამფუძნებელთა და დირექტორის უფლებამოსილება. სკოლას შემუშავებული აქვს დებულება, შინაგანაწესი, შპს აიბი - მთიების პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ბიბლიოთეკის დებულება, რომელთა თანახმად განისაზღვრება სკოლის სტრუქტურული ერთეულების / თანამდებობის პირთა ფუნქციები, მართვის პრინციპები, თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ა.შ. სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი: შინაგანაწესი მოიცავს შემდეგ სფეროებს: ა) შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება; ბ) წესრიგისა და შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; გ) სკოლის სასწავლო პროცესში მონაწილე პირთა ქცევა, ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა; დ) პერსონალისა და მესამე პირების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა, მათი კანონიერი ინტერესების გამოხატვა და დაცვა; ე) პერსონალისათვის სამუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა; ვ) სამუშაო დრო და შესვენების დრო; ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; თ) ხელფასის და სამივლინებო თანხის გაცემის წესი; ი) დასაქმებულთა მიერ შვებულების გამოყენების წესი და პირობები; კ) დასაქმებულთა მიერ სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ლ) სკოლის ძირითად უფლებები და ვალდებულებები; მ) დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები; ნ) წამახალისებელი და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება. ო) დასაქმებულთა სამსახურიდან გათავისუფლების წესი; პ) დასაქმებულთა შორის კომუნიკაციის წესი; ჟ) კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხები. შინაგანაწესის მიზნებია: ა) დასაქმებულისათვის დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებაში ხელშეწყობა; ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; გ) თანამშრომელთა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრება; დ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება; ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ეფექტიანობის ზრდა. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლაში დასაქმებულ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოქმედებს International Organization for Standardization ISO-9001-2015 საერთაშორისო ხარისხის სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის და ხარისხის პროცედურების სახელმძღვანელოებით, რომლებშიც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სკოლის მუშაობის ყველა სფერო: საქმიანობის დაგეგმვა; დოკუმენტაციის წარმოება და კონტროლი; პერსონალის მონიტორინგი, შეფასება და განვითარება; სასწავლო და სააღმზრდელო პროგრამების მომზადება და მიწოდება; შეუსაბამობის ანგარიში და გაუმჯობესება; ადამიანური რესურსების მართვა; შიდა აუდიტი; სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურება; შესყიდვები. სკოლის სასწავლო და სააღმზრდელო სტანდარტები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებს. სკოლის მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა განისაზღვრება International Organization for Standardization ISO 9001:2015

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით; სკოლაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ნორმების საერთაშორისო სტანდარტით რეგულირება განისაზღვრება Occupational Health and Safety Standard ISO 45001:2018 მიხედვით. 2021 წლის 5 ნოემბერს Intertek-ის აუდიტორმა ჩაატარა სკოლის მუშაობის ხარისხის გარე სამეთვალყურეო აუდიტი, რომლის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ სკოლაში მოქმედი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა აკმაყოფილებს International Organization for Standardization ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნას და ხელს უწყობს მოსწავლეთათვის მისაწოდებელი მომსახურების მუდმივ გაუმჯობესებას. სკოლამ მიიღო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის International Organization for Standardization ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის სერთიფიკატი # QMS 02111004002-02 და Occupational Health and Safety Certificate ISO 45001:2018 #0096056
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021 წლის 3 ოქტომბერს დამტკიცებული ხარისხის მართვის სისტემის პოლიტიკის და პროცედურების სახელმძღვანელოები. • შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტის სერთიფიკატი Occupational Health and Safety Certificate ISO 45001:2018 #0096056; • ხარისხის მენეჯმენტის სისტემების ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი # QMS 02111004002-02 2019 წლის 5 ნოემბერი; • 2021 წლის 5-15 ნოემბრის მენეჯმენტის ხარისხის სისტემის შეფასებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის აუდიტის დასკვნა; • შპს აიბი - მთიების წესდება; • შპს აიბი - მთიების შინაგანაწესი; • შპს აიბი მთიების დებულება; • შპს აიბი - მთიების პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროცედურების“ დოკუმენტი, რომლის მიხედვით განისაზღვრება შპს აიბი - მთიების სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებასთან, განხორციელებასა და შეფასებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები. სტრატეგიულ დაგეგმარებას სკოლა ახორციელებს დემინგის ციკლის, PDCA/PDSA ციკლის მიხედვით, სადაც P(Plan) - დაგეგმარება გულისხმობს წინა სამუშაოების შეჯამების საფუძველზე, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას. ამავდროულად მნიშვნელოვანია გასაუმჯობესებელი მხარეების დაფიქსირების გამომწვევ მიზეზების დადგენა, რაც საბოლოო ჯამში უკვე თავს იყრის დაგეგმარების პროცესში. ასევე, დაგეგმარების ციკლი სკოლაში გულისხმობს არა მხოლოდ წინა სამუშაოების საფუძველზე გამოკვეთილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გათვალისწინებას, არამედ დამკვეთზე ორიენტირებას. დამკვეთის ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას დაგეგმარების პროცესში. დაგეგმარების პროცესი დემინგის ციკლის მიხედვით ასევე ითვალისწინებს მარკეტინგული კვლევის ელემენტს, რათა განისაზღვროს კონკურენტი ორგანიზაციების მიღწევები და გასაუმჯობესებელი მხარეები, რათა განისაზღვროს აქცენტირებული საკითხები საერთო სასკოლო სამოქმედო გეგმაში. საქმიანობის დაგეგმარების დროს, ასევე იწარმოება რისკების შეფასება, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საკითხების რისკების შეფასებას და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის დაგეგმარების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ა) წინა სამუშაოების შეჯამებისა და ანალიზის საფუძველზე ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა. გასაუმჯობესებელი მხარეების პრევენციული ღონისძიებების სამოქმედო გეგმაში ასახვა; ბ) დამკვეთის ინტერესების და მოლოდინების კვლევა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება; გ) მარკეტინგული კვლევის წარმართვა და მიღებული შედეგების საფუძველზე სკოლისთვის პრიორიტეტული საკითხების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება; დ) რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმარება. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა არის ექვსწლიანი და ხოლო, სამოქმედო ერთწლიანი. ამავდროულად წლიური სამოქმედო გეგმა იშლება სემესტრულ და ყოველთვიურ სამოქმედო გეგმებზე. ხოლო, ყოველთვიური სამოქმედო გეგმის დეტალური განხორციელება ისახება ყოველკვირეულ სამოქმედო გეგმებში. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროცედურების“ დოკუმენტი; • სკოლის სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა საქმის წარმოების წესის შესაბამისად. საქმისწარმოების წესით განისაზღვრება დოკუმენტები, რომლების ექვემდებარება აღრიცხვას: ა) შემოსული კორესპონდენციის მიღება - აღრიცხვა; ბ) გასული კორესპონდენციის აღრიცხვა; გ) დირექტორის ბრძანებების კატეგორიები და მათი აღრიცხვა; დ) ხელშეკრულებების აღრიცხვა; სკოლაში გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების, ასევე შემოსული და გასული დოკუმენტის რეგისტრაცია მიმდინარეობს არაელექტრონული სისტემით. აღსარიცხი დოკუმენტაციის დასარეგისტრირებლად განსაზღვრულია შესაბამისი „სარეგისტრაციო ჟურნალები“. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედდასმული და აკინძულია, უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის სამართლებრივი აქტები და კორესპონდენციები ფორმდება ბლანკზე, რომელზეც მითითებულია დაწესებულების დასახელება, დაწესებულების სახე, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „შპს აიბი - მთიების საქმისწარმოების წესი“; • დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 197 თანამშრომელი. მათ შორის დირექტორი, სამი დირექტორის მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი, 97 მასწავლებელი, მასწავლებლის ასისტენტი 2, ბუღალტერი 2, ოფის მენეჯერი 3,ფინასნური მენეჯერი, ფსიქოლოგი, საინფორმაციო სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ადმინისტრატორი 2, აღმზრდელი 59, ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი 7, დაცვა, დიასახლისი, ექიმი, ექთანი, კვების ბლოკის მარაგების მართვის სპეციალისტი, მეეზოვე, მზარეული, მოსწავლეების მიღების მენეჯერი, მძღოლი, სააღმზრდელო პროგრამების კოორდინატორი 3, და სხვა. სკოლას ჰყავს 97 პედაგოგი, რომელთაგან 44 უფროსია, 1 წამყვანი, 13 მასწავლებლობის მაძიებელი, 17 მოწვეული, 19 სტატუსის გარეშე. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • 2021-2022 წლის საათობრივი ბადე; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**97**
მოწვეული/მაძიებელი	**17/13**
პრაქტიკოსი მასწავლებელი	**-**
უფროსი მასწავლებელი	**44**
წამყვანი მასწავლებელი	**1**
მენტორის სტატუსი	**-**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა უმრავლესობა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. 19 მასწავლებელი არის სტატუსის გარეშე, ადმინისტრაციის განცხადებით ყველა მათგანი დარეგისტრირებულია საგნის გამოცდაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება; • eSchool ბაზა.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს აიბი - მთიებში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • შპს აიბი - მთიებში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი; • სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ: მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი იყო ერთწლიანი და სრულდებოდა 2022 წლის სექტემბერს; მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 1 წლის ვადით; უსტატუსოდ დასაქმებულ მასწავლებლებს, ხელშეკრულებაში არ ჰქონდათ გაწერილი 174/ნ ბრძანების შესაბამისი ვალდებულებები „მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციები ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და წარმოადგინა ხელშეკრულებების ჩასწორებული დოკუმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის შინაგანაწესი; • პირადი საქმეები; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების და ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ხორციელდება გარე და შიდა მონიტორინგების, ურთიერთდასწრებების შედეგად მუშავდება პრიორიტეტული საკითხების ნუსხა, რომელიც განიხილება კათედრების და აკადემიური საბჭოების სხდომებზე. დგინდება მიზნობრივი საჭიროებები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მასწავლებლებისათვის შესაბამისი შიდა და გარე ტრენინგების შეთავაზება. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „აიბი–მთიების“ ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელო; • დასწრების ოქმები; • კათედრის სხდომების ოქმები; • გასაუბრებები.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომელი აცნობიერებს კარგი ურთიერთობების მნიშვნელობას. სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას, ხოლო სკოლაში მოწყობილი სივრცეები მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესი იყოს მრავალფეროვანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • გასაუბრება; • სკოლის ვებგვერდი; • ფოტოსურათები; • ფეისბუქ გვერდი.
შეფასება:	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი

თარიღი 26.07.2022

გვერდების რაოდენობა 72 გვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.